# ერი

№ 14

წელიწადი მეორე

1914

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით. . . . . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . . . . . | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 19 იანვარი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 16 იანვრიდან ახალი პროგრამმა.

I. პატეუ-ჟურნალი.

II. ხუმარის ნიღაბ ქვეშ. დრამა 3 ნაწ. მონაწ. იღებენ ამ სურათში ლილა კარამბა და ლ. ბერნარ.

III. ფრივოლ-შერლოკ-ხოლმსი კომიკური. დასაწყისი $5^1/_2$ ს. დაწვრილებით პროგრამაში.

ანონსი: ამ მოკლეხანში ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი. ბატადერკას თვალები. დრამა 4 ნაწ. პირველი რუსული მხატვრული სურათი. დაწვრილებით აფიშებში.



## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ე რ ი“

## ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწალ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.


ქვრივი ვერა დავითის ასული უგრეხელიძისა, შვილები მისი—არჩილ, თალიკო, დავით და გურამ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

**პლატონ დიმიტრის ძის უგრეხელიძის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე მოხდება კვირას, ნაშვადღევის 3 საათზე. გამოსვენება—საკუთარი სახ. ივანოვის ქუჩა. პანაშვიდები ყოველ დღეს საღამოს 5 საათზე.

ინჟინერი გრიგოლი, აკაკი, ალექსანდრე, ოლღა, ოლიმპიადა, ძენი და ასული ლუკა ქორქაშვილისა; კნ. მარიამ ჩიქოვანისა და თ. ვარლამ ჩიქოვანი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი დის და უკანასკნელი ცოლისდის

**ნატალიას (ნატაშას)**

გადაცვალებას. ცხედრის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 19 იანვარს, დილის 10 საათზე, რკინის გზის სადგურიდან საფიჩხიის სა საფლაოს ეკლესიაზე.


## ქ. ქუთაისში

ვაჭრობამრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# საბუღალტერო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

**1914 წლის 2 იანვრიდან**

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

**კანცელარია**

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

**2 января 1914 года**

въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

**КОНТОРА**

НОТАРIУСА В. П. КОКОЧЕВА.

18 დეკემბრიდან

# დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცანცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთ-ისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი ია. ცინცაძე.

## ქ უ თ ა ი ს ი.

# თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

## ქ უ თ ა ი ს ი

# პირველი კერძო საავადმყოფო (სამკურნალო)

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რუდიკოვის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რუდიკოვი—დოსტაქარი, ქალთა, სანებიო . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . | 12— 2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—სანებ., ქალთა და შინაგ. . . . . | $12^1/_2$ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—სანებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია სააქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**ა ქ ი მ ი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ა ქ ი მ ი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**ი ყ ი დ ე ბ ა** კახიანოურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.


# თანხმობა.

გაზეთი „მშაკის“ რედაკტორი არაქელიანი ქართველ და სომეხ ინტელიგენციას მოუწოდებს: „ერთობისა, ერთმანეთის გაგებისა და შეთანხმებისათვის“, რადგან „ამ ბოლო ხანებში სომეხ-ქართველთა ურთიერთობა შეირყა“. მოწოდება ფრიად სიმპატიურია. დაბალი წყლის შოვინისტს გარდა, ვინ იტყვის, რომ ერთა შორის სოლიდარობა თვით ამ ერთა კულტურისა და სულიერი სიჯაქიზის მაჩვენებელი არ იყოს. ამას გრძნობდა ქართველი ერი წარსულში, რომელიც არა მტრათ მოსულ მეზობლებთან მუდამ მჭიდროთ იყო შეკავშირებული და საქართველოს შვილთა შორის არ ყოფილა ეროვნული შუღლი და სიძულვილი, რომელიც ამჟამათ „განათლებული ევროპის“ ზოგიერთი „განათლებული“ ერის სამკაულს შეადგენს. მტერთან უებრო მებრძოლი და მოხერხებული, იგი ყოველგვარ მტრობასა და ცბიერებას იყო მოკლებული მოყვრისადმი, აროდეს არ სცდილა, რომ თავისი კეთილდღეობა და ბედნიერება სხვათა უბედურებაზე აეშენებია. მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ ხშირათ არც საქართველოში შემოხიზნული ერები სცდილან დაერღვიათ მისი ამგვარი სულიერი განწყობილება; ასე იყო ეს აქამდი, და ასეა ახლაც. არავითარი დამოკიდებულების „შერყევა“ ქართველსა და სომეხ ხალხს შორის არ სუფევს და, არა გვგონია, ამ ერთა დემოკრატიულ ნაწილთა შორის, ოდესმე რაიმე სერიოზულ უთანხმოებას ექნეს ადგილი. ხოლო სულ სხვაა სომხის ბურჟუაზია, აგრეწოდებული სოლოლაკის პლუტოკრატია, რომლისადმი უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით აროდეს არ ყოფილა და არც იქნება აღვსილი ქართველი ხალხი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაშ რა დამოკიდებულების შერყევაზეა აქ ლაპარაკი? ვის გასაგებათ და შესათანხმებლათ მოუწოდებს ბ-ნი არაქელიანი სომეხ და ქართველ ინტელიგენციას, ვისთან გვირჩევს იგი სოლიდარობას და შეთანხმებას? აქ უკვე „მამლის კუდი“ თავს არ იმალავს და ცხადი ხდება იმ პოზიციის ჭეშმარიტი ღირებულობა, რომელსაც იმ თავითვე „მშაკი“ და მისი მესვეურნი ადგენ, აშკარაა თუ ვის დამცველათ გამოდიოდნენ და გამოდიან „მშაკის“ ურა-პატრიოტები. ამ ჟამათ „მშაკის“ მიერ მტკიცება იმისა, რომ ერის სახელით ლაპარაკის დროს, მას სოლოლაკელნი არ ყოლოდეს მხედველობაში, შეუძლებელი ხდება, რადგან, როგორც ზევით აღვიშნეთ, სომხისა და ქართველი დემოკრატიის შორის არავითარი დამოკიდებულების შერყევას ადგილი არ ქონია, არავინ არავის სამტროთ არ გადაკიდებია და მაშ რაღა შერიგება უნდა იყოს საჭირო? ცხადია, „მშაკი“ დემოკრატიულ პრინციპებსა და დემოკრატიის დაცვას ისეა მოკლებული, როგორც ჩვენ შოვინისტურ, კაციჭამია მიდრეკილებას; მას სოლოლაკელთა შეწუხება აღელვებს და მათ ოინებს, ნებსით თუ უნებლიეთ, საერო საქმეთ აღვიარებს. და რაკი ასეა, ჩვენც სოლოლაკის პლუტოკრატიასა და მათთან დამოკიდებულებაზე ვილაპარაკოთ. რა დამოკიდებულება არსებობდა, ან როგორ და რაგვარათ შეირყა დამოკიდებულება ჩვენი სოლოლაკელ პლუტოკრატიასთან, რითი გამოიხატა იგი? არაფრით. ბურჟუაზიისა და დემოკრატიის ინტერესებს მარტო ნავთლუღი და ან სხვა რაიმე ასეთი არ ასხვავებს, კლასობრივი სხვადასხვაობა ერის ამ ორი დარგის წარმომადგენელთა შორის მუდამ უფსკრულს თხრიდა და მისი ამოვსება არ ძალუძს არავითარ წრეებს და ინტელიგენტებს, რომელთაც ბ. არაქელიანი მოუწოდებს. მათ შორის ინტერესთა სხვადასხვაობა მუდამ არსებობდა, არსებობს და იარსებებს. მაშასადამე ქართველი დემოკრატია, ქართველი ხალხი სოლოლაკის პლუტოკრატიისადმი მუდამ მოწინააღმდეგე ბანაკს წარმოადგენდა, ხოლო თუ ამ მოწინააღმდეგეობამ ამ ბოლო ხანებში მწვავე ხასიათი მიიღო, ამის მიზეზები შემდეგია: სომხის ბურჟუაზია იმ თავითვე სცარცვავდა ქართველ ხალხს, სამარეს უთხრიდა მის ავლა-დიდებას, მის ქონებას, მის მიწა-წყალს, ტენდენცია მისი მუდამ ამგვარი იყო, ხოლო ქართველი ხალხი კი თვისი ბუნებრივი გულუბრყვილობის გამო, სათანადო პასუხს ვერ აძლევდა ქვეშაგანზრახვებით შემოხიზნულ მსუნაგ მეზობელს. თუმცა მიზანი მათი აქამდინაც სხვადასხვა იყო, მაგრამ ეს სხვადასხვაობა საჭირო გამოსასვლელ გზას ვერ ნახულობდა და ქართველი ხალხი გადამეტებული ნდობით იყო აღჭურვილი სომხის ბურჟუაზიისადმი, რომელიც სარგებლობდა რა მისი ნდობითა და გულუბრყვილობით, ნელ-ნელ „ფცქვნიდა“ და აცარიელებდა მის სალაროს.

პლუტოკრატებიც თავს არხეინათ გრძნობდენ. მაგრამ იცვალა დრო და ქართველმა ხალხმაც გადაიძრო გულუბრყვილობის რიდე, მან სცნო რომ გულუბრყვილობას არცერთი ქალაქი არ დაუსაკუთრებია და არცერთი ერის წარმომადგენელთა ჯიბენი არ გაუსქელებია, რომ იგი ისეთი სენია, რომელიც სულსაც ასნეულებს, სხეულსაც და ჯიბესაც. ეს გამოფხიზლებაა სწორეთ იმ გულუბრყვილობისა და ნდობის შერყევა, რომლითაც ასე ურცხვათ სარგებლობდენ აქამდი სოლოლაკელნი, გამოფხიზლებაა მიზეზი იმ „ისტერიკისა“, რომელიც თავზედ პლუტოკრატებს აქამდი არ უგრძვნიათ და ამის გამო დაკრეს მათ ბუკსა და ნაღარას, ამის გამო მოუწოდეს „მშაკის“ ურა-პატრიოტებმაც თავის ლაშქარს

და აახაკუნეს უჩახმახო თოფები. ქართველთა გამოფხიზლებას ხელი შეუწყო სოპოლიტეხნიკუმი რევოლუციებმაც, რომელიც უფრო თვალსაჩინოს ყოფდა სოლოლაკელთა ქვენაგრძნობებს და ამ გრძნობათა გასამართლებლათ ნახმარ იარაღს. და თუ ქართველი ხალხის ამგვარი გამოფხიზლება ვისთვისმე სასიამოვნო ან სასარგებლო არ არის, რა ვქნათ, რა ჩვენი ბრალია. „გულს გული იცნობსო“, ნათქვამია, არც ქართველის გულია მოკლებული იმ გრძნობას, რომელიც კეთილი მეზობლისადმი პატივისცემის გამომხატველი უნდა იყოს, ხოლო როგორც ამჟამათ გარემოებამაც გვაჩვენა და დაგვანახა, მას იმის უნარიც შერჩენია რომ უმადურ მეზობელს ღირსეულათ დაუხვდეს. ჩვენც ვიცით, რომ კავკასიის ერთა კეთილდღეობა მათ თანხმობაშია, ერთა სოლიდარობა გამოაცლის ნიადაგს იმ ლტოლვას, რომელიც ჩვენ წინაამღდეგაა მომართული გარეშეთაგან, იგი არ მისცემს საბაბს საერთო მტერს თავის განზრახვანი სისრულეში მოიყვანოს და გამარჯვება იდღესასწაულოს. ჩვენც მეზობელ ერებთან მუდამ თანხმობით ვცხოვრობდით და არც ახლაა რისამე საბუთი იფიქროს ვინმემ, რომ დამოკიდებულება შერყეულიყოს. ამერი.

## დეპეშა.

**პეტერბურგი.** ჩემს შუამდგომლობაზე პასუხათ ოფიციალური ცნობა მივიღე:— მეფის მოადგილეს ცირკულიარული მოწერილობა დაუგზავნია გუბერნიის უფროსებისათვის—სახაზინო პალატებმა შეაჩერონ სავალდებულო გადასახადების აკრება მოუსავლობისაგან დაზარალებულ კუთხეში. **გელოვანი.**

## ახალი ამბავი.

ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციას განსვენებული ნატალია ქორქაშვილის ასულის სახელის სახსოვრათ სამი თუმანი შეუწირავს ქუთაისის ქალთა საზოგადოებისთვის, რომლის გამგეობის წევრათაც განსვენებული იყო.

✦ ხვალ ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგება.

✦ ჭიათურის შავიქვის საბჭოს 1913 წლის განმავლობაში დაშავებული მუშებისათვის პენსიისა და ერთდროული დახმარების სახით გაუცია 15338 მანეთი და 64 კაპ. ფული მიუცაათ სულ 25 მუშისთვის.

✦ კომერციული საზოგადოების კრებამ გადასწყვიტა ამ ახლო მომავალში მომავალი კომერციული სასწავლებლის სასარგებლოთ ქუთაისში გამართოს დიდი სალიტერატურო საღამო, რომელშიც სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ მგოსანი აკაკი და ნ. ნიკოლაძე.

✦ 1913 წლის 11 თვის განმავლობაში ჭიათურიდან ჭიათურის გზით 63,823,867 ფუთი შავიქვა გაუზიდავთ.

✦ დაბეჯითებით დადის ხმები, რომ ქუთაისის გუბერნატორათ გენერალ-მაიორი ზასიპკინი დაამტკიცესო.

✦ პიროგოვის საზოგადოების სამართველოსგან მოსკოვიდან კ. აბაშიძემ შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

მ. ხ. ივანე გიორგის ძევ!

პიროგოვის კომისია მოგმართავთ თქვენ შემდეგი თხოვნით:

მოუსავლობის გამო, რომელიც ქუთაისის გუბერნიას თავს დაატყდა, პიროგოვის კომის-ამ გადასწყვიტა ამ გუბერნიის დამშეულ მცხოვრებთ დახმარების ხელი გაუწოდოს და ჯერჯერობით ამ მიზნით 3000 მანეთი გადადვა. ამ დახმარების განსახორციელებლათ კომისიას განზრახვა აქვს გამოგზავნოს ექიმი და ფერშალი ქალი, რომელმაც საექიმო და სასურსათო დახმარება უნდა ამოუჩინონ სახსარის მიხედვით განსაკუთრებით გაჭირვებულთ. რადგან, როგორც გვითხრეს, კავკასიაში სასადილოთა გახსნა ამ ჟამათ შეუძლებელია, ამიტომ ექიმი და ფერშალი ქალი საზდოს დაურიგებენ ღარიბებს პირთ და ოჯახებს. მაგრამ ექიმისა და ფერშალი ქალის გაგზავნას ერთი გარემოება უშლის ხელს. პიროგოვის საზოგადოებამ ნებართვა მიიღო დამშეულთ დახმარება ამოუჩინოს მხოლოდ საეროპო ან საადმინისტრაციო დაწესებულებათა საშვალებით, ამიტომ იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არაა შემოღებული, იძულებული ვართ გუბერნატორს მივმართოთ პირდაპირ, რათა ექიმისა და ფერშალი ქალისგან შემდგარი რაზმის ხელმძღვანელობა იკისროს. ციმბირის ორი გუბერნატორისაგან უკვე მივიღეთ თანხმობა. ვიდრე გუბერნატორს მივმართავდეთ, დაბეჯითებით გთხოვთ ამოგვიჩინოთ დახმარება: 1) პირობათა გამორკვევით. შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ გუბერნატორის თანხმობაზე, ან შეიძლება თუ არა რაზმის ხელმძღვანელობა რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოებამ, ან სპეციალურათ შედგენილმა დამშეულთა დამხმარე საზოგადოებამ იკისროს; 2) დაგვეხმარეთ თქვენი ცნობებით განსაკუთრებით დამშეულ ადგილთან შესახებ და რა სახით ამოეჩინოს მათ დახმარება; 3) და გვაცნობეთ თქვენი მოსაზრებანი ქუთაისის გუბერნიის დამშეულ მცხოვრებთ დახმარების შესახებ.

გთხოვთ პასუხს ნუ დააგვიანებთ: თუ საქმემ სასურველი შედეგი მოიტანა, გთხოვთ დეპეშით გვაცნობოთ და რაზმი გამოიგზავნება თქვენთან, რათა მას შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოთ. თუ შემოწირულობამ იმატა დახმარება გადიდდება“.

✦ როგორც ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამოკვლევიდან ჩანს, ლაბორატორიის არსებობის ოთხი წლის განმავლობაში, ყალბ სანოვაგეთა რაოდენობას 1910 წლიდან ვიდრე 1913 წლამდი 12,8 პროცენტით დაუკლია.

✦ ქალთა წრის მორიგი კრება 3 რასკევს არ შესდგა გამგეობის წევრის ნატალია ქორქაშვილის ასულის გადაცვალების გამო.

### მოწერილი ამბავი.

მუხურის საზოგადოება (ზემო იმერეთი). რამდენი დროც გადის, ეს საზოგადოება უფროდაუფრო ეტანება სწავლა-განათლების საქმეს. წინათ აქ იყო, მარტო ერთი ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა, დღეს კი აქვთ სამი შკოლა: თუზში, ძირათავესაში და ს. მუხურაში. ამასაც არ სჯერდებიან და ეპირებიან მეოთხე შკოლის გახსნას ს. საკვირაოში, სადაც 140 კომლია. აურჩევიათ დეპუტაცია ოთხი კაცისაგან შემდგარი სათანადო მთავრობასთან საქმის მოსაგვარებლათ. კარგი იქნება, თუ მეთაურები ამ კეთილ საქმეს დროით ხელს შეუწყობდენ, ვინაიდან საკვირაოსთვის შკოლის გაკეთება მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ს. მუჯირეთი (ზემო იმერეთი). ამ სოფლისთანა შეუსმენილი სოფელი მეორეც არ ნახულა. სოფელი შესდგება 46 კომლისაგან. მცხოვრებლებს ყველასი სჯერათ, ხან ერთ თხოვნასა და განაჩენზე აწერენ ხელს და ხან მეორეზე. მაგ. ამას წინათ ჩხარში ყოფილა კრება შკოლის აშენების შესახებ—მოუწერიათ ხელი. შემდეგ თავასელებთან შკოლაში შეერთების შესახებ თხოვნაზე მოუწერიათ ხელი და მიურთმევიათ ბოქაულისთვის. ამას არ დასჯერდენ და ცალკე თხოვნა ამავე შეერთებაზე გუბერნატორს მიართვეს რომლისაგანაც ნება მიიღეს. დაადგინეს განაჩენი ამის შესახებ, მაგრამ უვარგისი გამოდგა და ებძანათ მეორე ახალი განაჩენის შედგენა. ახალი განაჩენის შედგენაზე-კი მუჯირეთლებმა უარი სტკიცეს: „ჩვენ სკანდეში უნდა ავაგოთ შკოლაო.“ ეს მოხდა სხვისი ჩაგონებით. საზოგადოების აზრი გაიყო: ზოგს თავასასთან შეერთება უნდა და ზოგს სკანდეში შკოლის აგება. იმდენი ვერ შეუგნიათ, რომ სკანდეში შკოლის აშენება მათთვის უსარგებლოა და თავასა მათთვის უფრო დასამხარია და თავასის შკოლით უფრო ისარგებლებენ ბავშები, ვიდრე სკანდეშის შკოლით.

ც—ძე.

დ. ახალ-სენაკი. აქ არსებობს სავაჟო ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი. მოსწავლეები. ცხოვრება მოგაგონებს მონასტრის მეუდაბნოეთა ცხოვრებას. სულიერათა და ფიზიკურათ მოსწავლენი გონება დახშული და უვარჯიშონი არიან. სულიერათ—მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ყოველდღე ეკლესიაში დგომით გაბეზრებული ბავშები იძანცებიან და გაკვეთილებს გარდა სხვა წიგნებს არ ეტანებიან და მის ნებასაც არ აძლევენ, რომ ლექციებს, ან რაიმე საბავშო გასართობ-წარმოდგენებს დაესწრონ. მეოთხე კლასის მოწაფეს წარმოდგენა არ აქვს თუ ლექციებს როგორ კითხულობენ. ამას წინათ ახალ-სენაკს ესტუმრა ბ. გარსევანიშვილი ლექციის წასაკითხავათ. ზოგიერთმა განათლების მოსურნე მოწაფემ მოინდომა ლექციაზე დასწრება. უარჩევდენ სხვა მოწაფეებსაც, ლექციაზე დასწრებას, თუ ნებას მისცემენ.

„შობისხის“ დასწრების ნებაც არ მისცეს და საბრალო ჩვენი „დუხოვნისტები“ მარტო ოცნებით ცხოვრობენ.

დაჩაგრული „Micha“

## დახშული ნიჭისანნი.

**სახალხო მასწავლებელთა საგულისხმოთ.**

შავი ზღვა გულჩათხრობილი ბუტბუტობდა და მის ნაპირას მდგომს ნიჭიერს ზღვის სიმშვენიერით აფრთოვანებულ, ყრმას ესაიდუმლებოდა. ყრმა სდუმდა და ზღვის ველს გაყურებდა.

იგი მიილტვოდა იქით, საცა ტალღა ტალღას ეხათქუნებოდა, საცა აზვირთებული წყლის ბორცვები [illegible] მსხვრევოდა [illegible] ღრიალით [illegible].

ყრმას სურდა თვით [illegible] ლებოდა, ფრთა გაეშალა, შორს გადაფრენილიყო, მაგრამ იგი შეებოჭა რაღაც ძალას და მის ძლიერ სულს მისწრაფება გარინდებული რჩებოდა.

ხოლო შემოქმედების ნიჭი არ ეშვება მას, მის სუსტ არსებას მოსვენებას არ აძლევს. და იგიც ნახშირით ხელში მივარდება სახლის კედელს და ხატავს ახლათ გავლილ გემს. ასურათებს ზღვის ტალღის სიცელქეს.

ასე ვლიან ყრმის დღენი. ასე იზდება ის ზღვის პირათ და ქარს ატანს ძლიერი შემოქმედების ნიჭს...

მხოლოდ შემთხვევის მეოხებით არ დაიკარგა ეს დიდი ბუნების, დიდი ნიჭის პატრონი:—მხატვარი ვინმე შემთხვევით ნახავს ფიცრის მოაჯირზე ყრმის ნახატს და ბავში მსოფლიო მხატვარი ხდება.

ეს ბავში აივაზოვსკი იყო...

ვინ იცის, რამდენს ნიჭიერ ყმაწვილს ზურგს უქცევს ასეთი ბედნიერი შემთხვევა, ამის გამო მათი ნიჭი ვერ იღებს განვითარებას, უდროოთ ქნება და გულსაკლავათ მახინჯდება.

ეს ლეგენდა (რომელსაც სიამოვნებით მოგითხრობს ყირიმის ყოველი მკვიდრი) მაგონდება ხოლმე, როდესაც ვხედავ ნიჭიერ ახალგაზდებს, სიღარიბის გამო შკოლის გარეთ დარჩენილებს, და, ან მათ ბავშური საქციელის გამო, შკოლიდან გამოგდებულებს მკაცრი დისციპლინის მოყვარე მასწავლებლების წყალობით...

და ვფიქრობ: რამდენი ზეგარდმო ნიჭით ცხებული ბავში დაგვიღუპავს ჩვენ, მასწავლებლებს და გაგვიხდია უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის ყური არ გვიგდია, მათი სულის კვეთება ვერ გაგვიგია; ვერ ჩაგვიხედია მათი გულის სიღრმეში, მათი ნიჭისთვის განვითარება ვერ მიგვიცია!

ვინ მეტყვის, რომ ის მახვილი ზეპირ-მოშაირეები, ვინაც დღეს სოფლის მასხრებათ გამხდარან, „ზეგარდმო ნიჭით ცხებული“ ადამიანები არ იყვენ?

ვინ მეტყვის, რომ ის უბრალო სოფლის მხატვრები, ვის სურათებსაც ხშირათ გაკვირვებაში მოყავხართ, არ იქნებოდენ აივაზოვსკები?

## დიდებული ქართველი

(საკვირაო საუბარი).

დღევანდელი კვირა დავუთმოთ იმ დიდებულ ქართველს, რომელიც ყოველ კვირა უქმე დღეს თვისი მჭევრმეტყველებით და კეთილზნეობის მოძღვრებით ჩვენს საზოგადოებას განუწყვეტლივ ხიბლავდა ორმოცი წლის განმავლობაში.

მე მოგახსენებთ გაბრიელ ეპისკოპოზზე.

საახალწლო ფელეტონში, გეხსომებათ, „კარგ საქმეებზე“ საუბარს შეგპირდით.

და აი, ბატონო მკითხველო, ამ ახალიწლის თავში უკეთესს ვერას მოგახსენებ.

ფოთის საკრებულო ტაძრის წინამძღვარმა, მამა კელენჯერიძემ ერთიფრიად სასარგებლო წიგნი დასტამბა:

„გაბრიელის დრო, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“.

წიგნი მეტათ საინტერესოთაა შედგენილი: ისეთი ცნობებია შიგ მოყვანილი, რომ ქართველი მკითხველი სასულიერო წოდების იქნება იგი, თუ საეროსი, ვისაც კი გაბრიელის სახელი გაუგონია,— პირველი გვერდიდან უკანასკნელ ფურცლებამდი, სადაც ცნობილი პუბლიცისტის ნ. ნიკოლაძისა და ნიჭიერი მწერლის ი. ხონელის წერილებია მოყვანილი გაბრიელის დასახასიათებლათ,—ისეთი ხალისით და ცხოველი ინტერესით წაიკითხავს, როგორც სიყვარულით გატაცებული ახალგაზდა ეროტიულ რომანს დაეწაფება ხოლმე.

ეს წიგნი პირველი ტომია; ავტორი მეორესაც გვპირდება; მასშიო, ამბობს მ. კელენჯერიძე, დაგანახებთ გაბრიელს მოაზრეს, გაბრიელს მამულიშვილს, გაბრიელს მოქალაქესო, ამ ტომში მოთავსებული იქნება გაბრიელის დიდ-დიდი საქმეების ყოველმხრივი განხილვა-დაფასება და მათ შესახები საბუთებიო.

ძალიან კეთილი!

თუ ყველა ეს მოახერხა მ. კელენჯერიძემ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ექნება და მომავალი შთამომავლობაც დიდი მადლობით მოიხსენიებს მას, რადგან ასეთი შრომა სამღვდელო პირის ხელიდან ჯერ ამის მეტი არ გამოსულა.

დიდებული მოძღვრის ასე ყოველმხრივათ დახასიათება მოიყოლიებს უტყუარს აწერას თანამედროვე ქართველთა ზნეობისა და სულის კვეთების ავ კარგიანობისას, აქვე იქნება უთუოთ გაშუქებული ის დამოკიდებულება და ურთიერთობა, როგორიც დამყარდა ქართველი ეკლესიის ღირსეულ მეთაურსა და სასულიერო და საერო მთავრობას შორის.

და ყოველივე წვრილმანი, აქ ამოკითხული აღმზდელი და მაგალითის მაჩვენებელი იქნება ჩვენი სასულიერო და საერო მოღვაწეებისათვისაც.

ახლა კი თვით გაბრიელზე გადავიდეთ:

ბევრს ჩვენს მკითხველთაგანს ეხსომება და ბევრს გაეგონება, რა ფაცა-ფუცი შეიქნებოდა ყოველ შაბათსა და უქმეების წინა დღეს ქუთაისში იმის გამო, თუ გაბრიელი ხვალ სად იქნებოდა მწირველი და მქადაგებელი.

ყველას საყდრისკენ მიეჩქარებოდა: მოხელე, ხელოსანი, ვაჭარი, მოხუცი და ახალგაზდა, სტუდენტი და მობრძენებული ინტელიგენტი ყველა ერთგვარი სიამოვნებით მიეშურებოდა ქადაგების მოსასმენათ.

განა სხვები არ ქადაგობდენ მაშინ, განა სხვები არ ქადაგობენ ახლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში და ცენტრში, მაგრამ ასეთი ალტაცებითა და მონდომით არც მაშინ მიისწრაფოდა სხვა მოძღვრის სასმენათ, არც ახლა ეშურება ეკლესისკენ ქართველი ქრისტიანი.

რა იზიდავდა ამ ოქროპირისაკენ ჩვენს, გულგაცივებულ ქართველობას?

გაბრიელის პირადი ღირსება, როგორც ჭეშმარიტი მქადაგებლისა, ჭეშმარიტი მოძღვრისა:

კვინტილიანი, რომელიც შესანიშნავი თეორეტიკოსი იყო მჭევრმეტყველობისა, ამბობს... დიდი ცოდვა და სჯულ გადამავლობაა, როცა ცუდი მიდრეკილებისა და ბოროტი ხასიათის ადამიანს მჭევრმეტყველობას ასწავლიანო; რიტორის ნათქვამს მისი კეთილი ბუნება და ხასიათი, მისი საქმეთა ღირსება აძლიერებსო; რიტორობა დაფუძნებული უნდა იყოს ზნეობაზე, ეთიკაზეო.

მჭევრმეტყველი მსმენელზე სიტყვის საბუთიანობით იმდენს ვერ იმოქმედებს, რამდენსაც კეთილმოყვარეობითა და კეთილსინიდისიერებითო; როცა ასეთი მქადაგებელი საუბრობს, მისი რწმენის ძლიერება ამხობს მოწინააღმდეგესო.

მართლაც, კლასიკური რიტორები არა მარტო მსჯელობდენ გონების დასატყვევებლათ, არა მარტო უთითებდენ მისწრაფების მოტივებზე, არამედ თვისი ცხოვრების კილოთი, გულწრფელობით, რწმენითა და კეთილი მისწრაფებით ხიბლავდენ მსმენელთა გულსა და გონებას.

გვიკვირს, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ჩვენს ზნეობითი სიდუხჭირეს საზღვარი არ ქონდა, ქართველობამ წარმოშვა გაბრიელის პიროვნებაში კაი საქმითა და სიტყვით შემკობილი ოქროპირი.

და მეტი არ მომივა, მგონი, რომ გაბედულათ ვსთქვა: ჩვენს ქვეყანას ასეთი მამულიშვილით შეუძლია თავი მოიწონოს:

გაბრიელის ყოველი სიტყვა და დარიგება განუყრელი იყო მისს ზნეობასა და მოქმედებასთან; მისი ყოველი დარიგება და მოძღვრება ნაყოფი იყო მისი თან დაყოლილი ღრმა რწმენისა და გამოანგარიშებული თვისი სამწყსოის სულიერს საჭიროებაზე.

აი, ეს ახდენდა შემზარველს შთაბეჭდილებას გაბრიელის მსმენელზე.

გაბრიელმა თითქოს გულთმისანივით იცოდა, რას თხოულობდა მისგან ახალი დაობლებული მისი ქვეყანა, მისი ერის ოჯახი, სარწმუნოება, ეკლესია და შკოლა.

მისი გამოსვლის ჟამს ქართველის სარწმუნოებრივი და პოლიტიკური სული საშინელ ტრაგიზმს განიცდიდა: ახლათ შექმნილი, გარეშედან შემოჭრილი გარემოება არ შეესაბამებოდა, პირიქით მკაცრათ ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულს წრფელ სარწმუნოებაზე, თავგანწირულს მამულიშვილობაზე აღმოცენებულს ზნეობას, ჩვენი მეფის გიორგი 13-ისა და რუსეთის პავლესა და ალექსანდრე 1-ის მიერ დამტკიცებული ტრაქტატის შეტრიალების გამო, ერეკლეს დროის ნეკრესელებს ენა პირში გაცივებოდათ, ქართული სულის მქონე შკოლები დახურული იყო, მრევლს უანბანო ღვდლები მწყსიდენ, ღვდელმთავრებად მაღალი გვარის თავადაზნაურთა წარმომადგენელს კანდიდატებს თუ აკურთხებდენ, სხვა საზომი სამღვდელო პირის ღირსებისა აღარ არსებობდა.

ასეთ მდგომარეობაში დახვდა ვეებერთელა სამწყსო გაბრიელს და რაღა გასაკვირველია, თუ მას ისტორიამ „მეომარი ბერის“ სახელი უწოდა.

დიახ, ეს „მეომარი კეთილი მწყემსი, აღჭურვილი მეცნიერებით, წრფელი რწმენით, პატრიოტული გრძნობით მარტოთ მარტო დგას ბრძოლის ველზე.

ებრძვის შინაურს მტერს—უმეცრებას, ცრუმორწმუნეობას და მათს დამცველს ღვდელსა და ერს; ესწრაფის, რომ დროებით მიძინებული ქრისტიანული, მამა-პაპური სარწმუნოება, რომელიც თითქო ყოველი წოდებისა და კლასის ქართველობას აერთიანებდა ქვეყნისა და ერის დასაცველათ—აი, ასეთი რწმენა უნდა აღადგინოს თვისი სამწყსო ის გულში.

ებრძვის ძველი აღთქმის წინასწარმეტყველივით ყველაფერს, რაც ამ მიდრეკილების გაღვიძებას ეწინააღმდეგება.

ამიტომ სრულიად გასაგებია და შესაწყნარებელი, თუ ცხოველი რწმენით გაშუქებული მოძღვარი ვერ ითმენს ღვდლისა და ერის გულსაკლავ ინდეფერენტიზმს.

თვით მაცხოვარი, ეს დიდებული ღმერთ-კაციც შოლტით აწიოკებს იერუსალიმის ტაძარში მოკალათებულ მოვაჭრეთა, რომელთაც ღვთის საყდარი ბაზრათ ექციათ.

გაბრიელიც ხანდახან ხელითაც შეეხებოდა თურმე ისეთ ღვდელს, რომელსაც ზნე და ხასიათი მგლისა ქონდა, ხოლო სამოსელი უმანკო კრავის.

უარესს დღეს აყენებდა ისეთ ერის კაცს, რომლის რწმენა-ზნეობის მოთხოვნილებასაც ხსენებული უზადრუკი ღვდელი აკმაყოფილებდა.

იგი არ ეპუება არც სასულიერო, არც საერო მთავრობას, როცა ისინი თვისი შეუფერებელი განვითარებით შებღალვენ რითიმე ზნეობით, გინა იურიდიულსა და ეროვნულს უფლებას მისი სამწყსოსას, როცა მთავრობის მაღალნი პირნი თვისი პირდაპირი მოვალეობის ფარგალს გასცილდებოდენ და „მეომარი ბერის“ ეპისკოპოზის უფლების სფეროში შეიჭრებოდენ.

მას თვისი უწყება ისე ყავს თვისს ფრთეთა ქვეშ დაცული და შეფარებული, როგორც არწივს თვისი მართველნი.

შემდეგ ნ. ნიკოლაძისა და ილია ხონელის წერილებისა, რომლებშიც ნიჭიერი კალმით ცოცხლათ და მოკლეთ არის დახასიათებული გაბრიელი და მისი მოღვაწეობა, მე აღარას ვიტყვი ზემომოყვანილს მეტს.

მხოლოდ საჭიროთ მიმაჩნია მოვიყვანო მამა კელენჯერიძის წიგნიდან ზო-

# დ ი ლ ა.

**დილის აღერსი**

2.

გაზაფხულზე ჩემი დია,
ვიდრე სხვა დროს, დიადია,
ყვავილებით მოკაზმულსა,
სიყვარულის დედოფალსა,
ფვრხთით ფლოსტი გაუხდია;
უალერსებს ჩემს ძველს წყლულსა,
არ მაშორებს თვალით თვალსა,
სანატრელი, კოხტა დია!

ჩემთან მოდის ბინდის ჟამსა,
მირაკუნებს ჩუმად კარსა.
გალობს უცხო საგალობელს,
რაც ყრმას ჯერ არ განმიცდია:
ამ მსოფლიურს მიქრობს დარდსა,
ნეკტარს მასმევს დამათრობელს
სატრფიალო, ჩემი დია.

**დილის განცხრომა.**

3.

ჩემსკენ დახარა
მან ერთხელ თავი.
გაშლილ თმის ტალღებ ორივ დაგვფარა.
წელზე მოვხვიე მთრთოლვარე მკლავი.

ზღვის ქაფი აგრე არ არის ნაზი,
არც გარს ეხვევა ხეს უსურვაზი,
როგორც ის ვნებით შემომეხვია,
ცელქი, თამამი, ნარნარი დია!

**დილის სიზმარი.**

4.

ჩემს ოთახში სძინავს,
ზედ ლეჩაქი ხურავს მუქი;
მოქნილ ტანის სიშიშვლისგან
ეფინება ჩემს გულს შუქი.

გადავწიე მის თხელ საბურს,
მძინარს თვალი გაუსწორე:
გაიღვიძა. გამიღიმა
და უსიტყვოთ ვეამბორე.

**დილის სახე.**

5.

ცხოვრებაა ჩემი დია:
სოფლის ეშხი, სოფლის ვნება:
ზეციური სხვის დაუთმო,
თვით არჩია მიწის შვება.

თუ დაუწყე საუბარი,
რომ არსებობს ზეარსება,
იგი ცეკვავს უდარდელათ,
ჩემს სიტყვებზე ეცინება.

მაინც მიყვარს ჩემი დია
აგრევ სიღრმით, ვით ოცნება;
ორ არსებას შეითვისებს
ჩემი ერთი პიროვნება.

აღარ ვიცი, ამ ორსშორის
აწ ვინ უფრო დიადია:
უხილავი ჩემი ლტოლვა,
თუ ხილული ნორჩი დია?

**დილის მეტოქე.**

6.

ერთხელ ეტლით შორს წავედით:
გვიმართავდენ დღესასწაულს;
რა ვიცოდი, იქ იქმოდენ
ბოროტსა და ბნელს სასწაულს?

ღვინის ნაცვლათ მისცეს შხამი,
მომიწამლეს საყვარელი;
შინ დავბრუნდით. დიამ მითხრა:
ეძიეო ჩემი მკვლელი!

ახ! გზაში რარიგ იტანჯებოდა.
„მიშველე რამე!“ მეხვეწებოდა.
ვერას ვშველოდი, გული მწყდებოდა.
ჩემს მკლავზე მწოლსა სული ხდებოდა.
ნაზის ხელებით მკერდს მეკვრებოდა,
არ სურდა ტურფას განშორებოდა.

ო, დიავ! გუშინ მისთვის ხარობდი,
რომ ხვალ მზე აღარ გაგთენებოდა?
მან მითხრა:—ამას მე წინათ ვგრძნობდი,
მას ჩემი ბედი შეშურდებოდა.

სთქვა და კიდეც მოსწყდა სოფელს,
დღეს ვატარებ მისთვის შავებს;
მიწათმყოფი ველარავის
ველარაფერს დაუშავებს.

მოუსვენრათ აწ ვსტეხ ღამეს,
დილით ვსდგები გულით მკვდარი;
თვალით ვეძებ ჩემს გოგონას,
და ამაოდ—აღარ არი?

მარტოთ მყოფი გულში ვსტირი,
არას აჩენს გარეთ სახე;
მსურს გავიგო, თუ ვინ უმტრო,
ვინ დაუგო მიჯნურს მახე!

და ერთ დღესა ბარათს ვიღებ,
მით დამატყდა თავსა ზარი:
ვსცან, ყოფილა დიას მკვლელი
ქალი, მისივ მეგობარი!

ა. შანშიაშვილი.

ლაიპციგი.

ვინ მეტყვის, რომ ის სოფლის ბავშვები, მდიდარი სმენითა და წკრიალა ხმით დაჯილდოებულნი, გამოჩენილი მომღერლები არ დარჩებოდენ?

ვინ უწყის, რამდენი ობოლი მარგალიტია სოფლათ მობნეული და ჩვენის წყალობით თაღლითდება...

გიორგი ნიჟარაძე

## ნინოობა სოხუმში.

14 იანვარი წელს სოხუმში განსაკუთრებულ დღესასწაულს წარმოადგენდა ქართველთათვის. მახსოვს, ამ ექვსი თუ შვიდი წლის წინათ აქაურმა ქართველობამ სთხოვა სოხუმის ეპისკოპოზს არსენის 14 იანვარს ქართველთა განმანათლებლის დღეობას ნება მოგვეცით ქალაქის ეკლესიაში ქართულათ გადავიხადოთ წირვაო. ამ თხოვნამ მაშინ ვერ გასჭრა. ბოლოს, როგორც იყო, ნება დართო ქალაქის განაპირა ადგილას, სასაფლაოს სამლოცველოში ჩუმათ შევედრებოდენ ღმერთს ქართულს ენაზე. წელს კი ეპისკოპოზმა ანდრიამ ვალდებულათ ჩასთვალა თავი, ეს დღე, ქართველთა დღესასწაული შესაფერი პატივითა და ზეიმით გადაეხადა. საკრებულო ტაძრის სამღვდელოებით ქართული წირვა და ლოცვა მშვენიერის ქართულის გალობით ხიბლავდა დამსწრეთა გრძნობას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეპისკოპოზი ანდრია დიდიხანი არაა, რაც აქ მსახურობსო და უზომო სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურა ყველასაგან, განსაკუთრებით ეროვნებისა. განსაკუთრებით იგი გულმტკივნეულათ ეკიდებოდა ქართველობას. ეს არ დარჩათ შეუმჩნევლათ ძალთა მქონეთ და საჭიროთ დაინახეს მისი ამ ეპარქიიდან განშორება. სამწყსოსთან გამოსათხოვარ დღეთ მან ნინოობა აირჩია და ამან კიდევ გაორკეცა დღესასწაულის ელფერი. აურებელი ქართველობა შეგროვდა საკრებულო ტაძარში, რათა უკანასკნელათ მოესმინა პატივცემული ღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევა. წირვის დასრულებისას მათმა მეუფებამ მოისურვა სოხუმის მომავალი ქართული ეკლესიის ბალავრის კურთხევა, რომლისთვისაც მან უხვი შეწირულობა გაიღო და მისივე ნებართვით ნინოობა დღეს წირვას შემდეგ ლანგრები ჩამოატარეს, რათა შემოსული ფული სრულიად იმავე მიზანს მოხმარებოდა. გათავდა თუ არა წირვა ღვდელმთავარი სამღვდელოებითურთ ლიტანიით გაემართა ქართული შკოლისაკენ, რომლის ეზოშიც აკურთხეს მომავალი ქართული ეკლესიის საძირკველი.

ცერემონიის გათავებას შემდეგ ნიკო თავდგირაძემ სოხუმის ქართველობის სახელით წაუკითხა ეპისკოპოზს ანდრიას გამოსათხოვარი ადრესი, მრავალი პირისგან ხელმოწერილი. მათმა მეუფებამ დიდი მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და აღუთქვა მომავალშიც ეცდება, არ გასწყვიტოს კავშირი მათთან.

ამავე საღამოს ალოიზის თეატრში გაიმართა ტრადიციული ქართული საღამო შემდეგი პროგრამით:

1) ბ. ზომლეთელმა წაიკითხა თავისი ლექსი—„სურვილი“, ხოლო არტისტმა ვ. არაბიძემ „სიზმარი“ აკიასა.

2) თფილისის ქართულ მომღერალთა გუნდმა ბ. მიხ. კავსაძის ლოტბარობით შეასრულა ქართული სახალხო სიმღერები.

3) დადგმულ იქნა მეორე და მესამე მოქმედება „დალატისა“ (სუმბათაშვილის) რუსულ ენაზე.

საერთო შთაბეჭდილება წარმოდგენისა კარგი დარჩა, მით უფრო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასეთს ძნელ როლებში სულ სცენის მოყვარეები გამოვიდნენ.

დიდი ღვაწლი დასდვა საღამოს გამართვას არტისტმა ვ. არაბიძემ, რომელიც რეჟისორობდა წარმოდგენას.

რაც შეეხება ქართულ გუნდს, კარგათ ასრულებდა სიმღერებს, მაგრამ ეს სიამოვნება შვიდასი მანეთი დაჯდა და ასეთ დიდ ხარჯს პატარა პროვინციალური ქალაქები ვერ გაუძლებს. ჩემის აზრით, მომავალში უფრო იაფათ შეიძლება მოეწყოს ქართული გუნდი. ამისთვის საჭირო არ არის თფილისიდან 30 კაცის გამოწერა, სრულიად საკმარისია გამოიწეროს ორი კვირით გამოცდილი ხელმძღვანელი, ხოლო ხორო ადგილობრივ შეიძლება უსასყიდლოთ შეგროვდეს.

დასასრულ გაიმართა ცეკვა-თამაში და დილის 6 საათამდი გაგრძელდა. მოწყობილი იყო აგრეთვე ლატარეა-ალეგრა, პატარა კიოსკები და ტრადიციული ქართული დუქანი. საერთო შემოსავალი 3000 მანეთამდი იქნება. იმედი აქვთ—საზოგადოებას დარჩება წმინდა შემოსავალი 1200—1500 მანეთამდი.

ასე დასრულდა ნინოობა სოხუმში.

დიდი მადლობის ღირსი არიან კნეინა მ. ანჩაბაძისა, კნ. მ. შერვაშიძისა, ნ. თურქია, და სხვები, რომელნიც თავს არ ზოგვენ საზოგადო საქმეზე [illegible] პირადის შრომით თუ ნივთიერათ ხელს უწყობენ ქართულს [illegible] სოხუმში.

[illegible]

## ვინაა ოჯახის უფროსი?

**(ინდოეთის ზღაპარი)**

ერთმა ახლათ ჯვარდაწერილმა ახალგაზდამ კითხა მამა მასს: „ვინაა ოჯახის ნამდვილი უფროსი, ქმარი თუ ცოლი?“

მამას გაეღიმა და უპასუხა:

— ამას შენ თვით მიხვდები, შვილო ჩემო. ას ქათამს მოგცემ და ორ ცხენს. შემოიარე ყველა დაბა-ქალაქი და სოფლები და ყველა ოჯახებში იკითხე,—ვინაა ოჯახის უფროსი?

თუ ქალი აღმოჩნდეს ოჯახის უფროსი, ქათამი მიეცი მის ქმარს; და თუ თვითონ—ცხენი.

ხო მიმიხვდი, რის თქმაც მსურდა?

შვილმა მადლობა გადაუხადა მამას, გამოიყვანა ორი ცხენი და ასი ქათამი.

როდესაც ოთხმოცდაცხრამეტი ოჯახი შემოიარა, დარჩა მხოლოდ ერთი ქათამი და ორივე ცხენი.

ბევრ მგზავრობას შემდეგ ერთს დიდ მიდორზე შენიშნა პატარა ქოხი. გაჩერდა სახლის წინ და გამოიხმო მასპინძელი.

— ვინ არის თქვენს ოჯახში უფროსი?

— რასაკვირველია, მე!—ამაყათ მიუგო ქმარმა.

— შეგიძლია დაამტკიცო?

— რა თქმა უნდა!—მიუგო მასპინძელმა და დაუძახა ცოლს.

— ვინ უფროსობს თქვენს ოჯახში,—შეეკითხა მგზავრი,—თქვენ თუ თქვენი ქმარი?

— ქმარი!—უპასუხა ქალმა.

— კარგი,—მიუგო მგზავრმა,—მაშ ამოირჩიე ერთ-ერთი ცხენი.

— შავი მირჩევნია,—უპასუხა ქმარმა.—ის უფრო მომწონს.

— ძლიერ კარგი!

მაგრამ ამ დროს ცოლმა განზე გაიხმო ქმარი და რაღაც წაუჩურჩულა. თანხმობის ნიშნათ, ქმარმა თავი დაიქნია.

— იცი რა,—მიუახლოვდა მგზავრს და უთხრა,—მოდი ნაცრის ფერი ცხენი მომეცი.

გიერთი ცნობა, სადაც გაბრიელის სიფიცხე და უშიშროება, მედგრათ და სიმართლისთვის ხმის ამაღლება ნაყოფიერათ თავდება და სამაგალითო მისაბაძ ფაქტათ რჩება.

ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ქუთაისის გუბერნატორთან გრაფ ლევაშოვთან შეტაკება.

აქ გაბრიელი ჭეშმარიტი მწყემსია სულიერთა ცხოვართა; მას თამამათ შეეძლო ეთქვა მაცხოვრის მზგავსათ:

„მე ვარ მწყემსი კეთილი“-ო.

ის არა გავდა სასყიდლით დადგინებულ მწყემს, რომელმაც იხილოს რა მგელი მომავალი, დაუტევოს ცხოვარნი და ივლტიან და მგელმან წარიტაცონის იგინი და განიბნიონის ცხოვარნი.

მაცხოვრის სიტყვებში მოხსენებულ მგელს მოგვაგონებს ხსენებული ლევაშოვი, ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი.

ეს ის გუბერნატორია, რომელმაც ქურდულათ გაცარცვა გელათის მონასტერი, ჩამოაცალა მინიატურებით ცნობილს მეცნიერებაში გელათის სახარებას ოქროს ბუდე, მილიონათ ღირებული, წაიღო აგრეთვე სხვა საგანძურიც და ევროპის ბაზარზე გაყიდა იუველირებში.

ერთჯერ ეს გუბერნატორი, ჩვეულებისამებ ღვინით შეზარხოშებული, კაზაკების რაზმის თანხლებით, ხონისკენ გაეგზავრა სარევიზიოთ. როცა ხონში შევიდა წმინდა გიორგის ეკლესიასთან სასაფლაოზე ახალი გაჭრილი საფლავი ნახა. იკითხა, ეს ვინ დაუსაფლავებიათო, მოახსენეს, რომ თავადი წულუკიძე იყო ახალი მიცვალებული.

— ვინ იყო ღვდელი, რომ დაასაფლავა მიცვალებული?—იკითხ ბრაზმორეულმა გენერალმა.

— პეტრე ქუთათელაძე გახლდათ, ბატონო—მოახსენეს.

— საჩქაროთ აქ წარმომიდგინეთ—იყო ბძანება. შეშინებული ღვდელი მიჰყვანეს.

— შენ ხარ პეტრე ქუთათელაძე?

— მე გახლავარ, ბატონო.

— შენ გაბარია ეკლესია?

— დიახ ბატონო.

— შენ დამარხე ეს მკვდარი?

— დიახ ბატონო.

— როგორ გაბედე აქ მკვდრის დასაფლავება?

— ბატონო, ეს სასაფლაო თავად წულუკიძეების საგვარეულო აკლდამაა და მე უბრალო ღვდელი როგორ გავბედავდი უარის თქმას!

— სამი დღის ვადას გაძლევ ჩემი გუბერნიიდან დასაკარგავათ! არ გნახოს აქ ჩემმა თვალებმა.

— შემიწყალე ბატონო, წვრილ ცოლშვილის პატრონი ღარიბი ღვდელი!

— სამი დღის ვადას გაძლევ-მეთქი.

ითქვა და იქნა. გენერალი ქუთაისისკენ გამოეშურა, ღვდელი კი დიდ საგონებელში ჩავარდა. დიდი ფიქრისა და მწუხარებას შემდეგ ღვდელი მოკლე გზით ჯორზე მჯდომარე გაბრიელთან გამოიჭრა. გუბერნატორი ხონის შუა თუ იქნებოდა, როცა საერო მართებლობისგან განწირული ღვდელი თავის გაჭირების ამბავს მფარველ ღვდელმთავარს მოახსენებდა.

— მოწყალეო ბატონო, შენ იცი და ჩემმა საწყალმა ცოლშვილმა, მშვიდობით, ბატონო, მშვიდობით!

— ხუცესო, ხომ არ გადირიე! გაკვირვებით კითხა ღვდელმთავარმა. სად მიდიხარ?!

— ბატონო გუბერნატორმა გადამასახლა!

— გუბერნატორმა გადგასახლა?

— დიახ ბატონო.

— მერე სად?

— ჩემი გუბერნიიდან დაიკარგე სამ დღეშიო.

— რა მოიჩვენა?

— რა მოგახსენო, ბატონო, წულუკიძე რატომ დამარხეო!

— რას ამბობ, ხუცესო! აბა დაუმარხავი მკვდარი ვის გაუგონია?

— წმინდა გიორგიზე რატომ დამარხეო!

— მთვრალი იყო თუ იცი?

— რა ვიცი,—შენი ჭირიმე, თვალებში ცეცხლი ენთო მრისხანებით და... შემიბრალეთ, ბატონო. ნუ გადაყრით წყალში ჩემს ცოლშვილს!

— ნუ ჩერჩეტობ, შე საწყალო, ნუ! შენს მრევლში წადი ჩქარა, უზიარებელი არავინ მოგიკვდეს, მე ვიცი და გუბერნატორმა.

გახარებული ღვდელი ორი ფეხის დაკვრით, ეზოდან გამოვიდა, ჯორს მოახტა და დაიმედებულმა შინისკენ გასწია. სამაგიეროთ ღვდელმთავარი მიეცა საგონებელს.

დათმობა მისს ხასიათს ხასიათს უდრიდა და შეტაკება გუბერნიის უფროსთან კი დიდ უსიამოვნებას უქადდა. დასწერა საჩქაროთ ბარათი, ჩასდვა კონვერტში, დაუწებებლათ მისცა ხელში მდივანს თემურაზ ლეჟავას და უბძანა დაუყონებლათ, თვისი ხელით მიეტანა გუბერნატორისთვის.

მდივანმა წერილის შინაარსი არ იცოდა, ჩამოართვა, გამოვიდა გარეთ და, სანამ ენას წაუსვამდა და დააწებებდა, ველარ მოითმინა, წაიკითხა და ტანში ჟრუანტელი აუტყდა. შემოტრიალდა, მივარდა ეპისკოპოზთან და შეევედრა, რომ ეს ბარათი დახია. მდივანი უმტკიცებდა ეპისკოპოზს, რომ ბარათი მეტათ მკაცრი იყო და უსიამოვნებას შეახვედრებდა მას.

— „ოჰ, შენ სულ ასე მხდალი ხარ ყურგდელივით“ სახის დაღრანჯვით მივარდა ღვდელმთავარი ხელებში შეშინებულ მდივანს,—„მომეცი, მომეცი აქ, მე კი ვიშოვი მაგის წამლებს“.

ამ სიტყვებით გამოგლიჯა ხელიდან ბარათი, წაუს-წამოუსვა ენა, დააწება და ის არის, რომ სხვას უნდა დაუძახოს, მოვიდა მდივანი, ბოდიშის მოხდით ჩამოართვა ბარათი და მოახსენა: „ბატონო, რაც იქნება, იქნება, რომ იქვე მომკლას, მაინც მივუტანო“.

ნახევარ საათში მდივნის ეტლი გუბერნატორის კარებზე იდგა, წერილის მიცემა და გამოქცევა მოუხერხებელი იყო, პასუხისთვის უნდა მოეცადა, თუმცაღა ეს წუთები ისედაც ფიზიკურათ სნეულსა და სუსტს ლეჟავას ნახევარ სიცოცხლეთ უჯდებოდა.

დაიწყო თუ არა გუბერნატორმა ბარათის კითხვა, კანკალმა აიტანა, ხელებმა ცახცახი დაუწყო და ჩარბები გაუფითრდა. არა უკეთეს მდგომარეობას განიცდიდა ლეჟავაც, რომელიც საცოდავათ კარებთან ატუზულიყო.

გაათავა ბარათის კითხვა გენერალმა და გაფითრებული სახით მიუბრუნდა ისედაც ძალზე შეშინებულს ლეჟავას:

— ღვდელმთავარი შინ ბძანდება?

— ბატონო, მე რომ აქ გეახელი, ეტლში ჯდებოდა და ლეჩხუმს მიემგზავრებოდა სარევიზიოთ.

— როდის მოვა?

— დაახლოებით ორ კვირას შემდეგ.

— როგორც მოვიდეს, იმ წუთსავე აქვე გაჩნდი და მომახსენე! გესმის!?

— მესმის ბატონო!

— წადი.

წამოვიდა, მაგრამ რაღა წამოსვლა იყო; პირველ ქარიშხალს მეორე უფრო საშინელი უნდა მოყოლოდა.

მობძანდა ღვდელმთავარი და ლეჟავაც მაშინვე გუბერნატორთან გაჩნდა, ბძანებისამებ, საათის განმავლობაში გუბერნატორი ეპისკოპოზის კარებზე არაკუნედა.

მე დიდათ დაინტერესებული ვიყავი, რითი გათავდებოდა ეს შეხვედრა,—ამბობს ლეჟავა, და კარებს უკან მივიმალე.

გუბერნატორს შესვლისთანავე ფერი დაეკარგა.

ეპისკოპოზს რომ მისი მოსვლა მოახსენეს, უცებ ანაფორა წამოისხა და დაკოდილივით სტუმარს შამოუტია; აღარ აცალა არც სალამი არც ხმის ამოღება ისე მივარდა:

— შენ ვინ მოგცა ჩემს ეპარქიაში განკარგულების ნება უჩემოთ! რამდენჯერ შენ დათვრები და საქეიფოთ წახვალ, იმდენჯერ ვინ შეგაწუხებიებს, ისედაც ილაჯ გაწყვეტილს ჩემს სამღვდელოებას!

ვინ გკითხავს შენ ჩემი ღვდლის გადაყვან-გადმოყვანას და იმასაც უმიზეზოთ. შენი სიმკაცრით, აუტანელი ხასიათით შევიწროებულია ქვეყანა! მე ვიკითხავ სადაც ჯერარს, გაქვს თუ არა შენ ნება ასეთი საქციელისა და შეგატყობიებ შენც.

გუბერნატორი მოწინააღმდეგის გასასრესათ მომზადებული როგორც დამსწრე მოგვითხრობს, თურმე სულ წახდა, დაიბნა და აღარ იცოდა, რა საქციელს დადგომოდა.

გაბრიელმა თავისი სიტყვები ფეხის ბაკუნით გაათავა. იატაკსა სცემდა ქუსლებს და მოწინააღმდეგეს, ასე სტუქსავდა.

გენერალი მხოლოდ ამას ღა იმეორებდა: Виноватъ, Ваше Преосвященство! Простите, Владыко! დანაშაული ვარ, ყოვლად სამღვდელოვ, მომიტევე, მომიტევე, მეუფებავ.

ვისწავლოთ ჭეშმარიტი მოძღვრისგან უშიშროება, სიწრფოება რწმენისა და გულისა, მივბაძოთ მის მაგალითს.

მეგობარი.

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში. მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საუკეთესო გამოცემა ოტტო კირხნერისა და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კედლის და ჯიბის **კალენდრები**
**ტყავის პორტფელები** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя). ✦ **კოლოფები ქაღალდის ჩასაყრელი.**

— არა, მეგობარო,—მიუგო მგზავრმა,—გატყობ, ქათამი გირჩევნია და მისცა.

ცხენები კი შემობრუნა და წავიდა.

უამბო თუ არა თავის ცოლს, რა უყო ის ქათამს, ამაზე ისტორია არას ამბობს.

**გოლა.**

## საყურადღებო ცნობები.

ესდეკთა აგრარული პროგრამა მიწის კონცენტრაციის აუცილებლობას აღიარებს, მათი აზრით, წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი შემცირდება და მამული სხვილი მესაკუთრის ხელში მოგროვდება. ეს აზრი ბევრ ადგილას არ გამართლდა, არ გამართლდა ის არც რუსეთში. რუსეთში რაც დრო მიდის სხვილ მესაკუთრეთა რიცხვი მცირდება და წვრილისკი მრავლდება. ამ მხრით საყურადღებო ცნობებია მოთავსებული „ნოვაია რაბოჩაია გაზეტა“-ში მიმდინარე წელს იყიდება 4,279685 დესეტინა მამული. აქიდან 2,505060 დესეტინა თავად-აზნაურთა მამულია. ამ ერთი წლის განმავლობაში თავად-აზნაურებმა ნახევარი მილიონი დესეტინით მეტი გაყიდეს, ვიდრე ათ წელს 1894—1903 წლებში. 1862 წელს გლეხთა გათავისუფლებას შემდეგ თავად-აზნაურებს ეკუთნოდა 87 მილიონი დესეტინა მიწა. 1907 წელს კი მათ საკუთრებას შეადგენდა 48 მილ. დესეტინა მიწა. ხსენებული ხნის განმავლობაში თავად-აზნაურებმა დაკარგეს 39 მილიონი დესეტინა მამული. ამ მამულიდან 20 მილიონი დესეტინა მამული გლეხებმა შეიძინეს, დანარჩენი კი ვაჭრებმა.

## რუსეთი

**ამბები მუშათა ცხოვრებიდან.** 9 იანვარს გაფიცვასა და დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისთვის პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა 13 მუშას ორ-ორი თვის ციხეში ჯდომა მიუსაჯა. სულ 9 იანვარს გაფიცვისათვის ამ მოკლე ხანში დააპატიმრეს 53 მუშა.

— 12 იანვარს პეტერბურგში უნდა მომხდარიყო პეტერბურგში არსებულ საავადმყოფო კასების წარმომადგენელთა კრება, მაგრამ კრება დაწყებული არ იყო, რომ პოლიციელები მოვიდნენ და გამოაცხადეს: გრადონაჩალნიკი კრების გამართვის ნებას არ გაძლევთო. კრებას უნდა აერჩია წარმომადგენელი დამზღვევ საბჭოსა და სკრებულოში.

— 50 კაცმა ნარიმში პოლიტიკურ საქმეზე გადასახლებულმა დეპუტატ ჩხეიძეს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს: ნარიმის ბოქაულმა საზღო მოგვისპო და ქალაქის სტაროსტაც გააფრთხილა, ვითომ ჩვენ არეულობას ვახდენდეთ. შვიდი კაცი შორეულ ადგილებში გადაასახლეს, სადაც ცხოვრება შეუძლებელია თითქმის. არეულობის შესახებ ხმებს ბნელი ძალები ავრცელებენ.

**მ. გორკი.** მაქსიმ გორკი დღესაც ნიჟნი-ნოვგოროდის მოხელეთა საზოგადოების წევრათ ირიცხება. საზოგადოების გამგეობაში ახლა გორკიმ განცხადება შეიტანა და ითხოვა მოწმობა. საზოგადოების გამგეობამ გამოარკვია, რომ 1906 წლის იანვრიდან გორკის არავითარი გადასახადები არ გადაუხდია და მასზე ირიცხება 40 მანეთი. ამ ფულის გადახდას შემდეგ მას მისცემენ ხუთ წლიან მოწმობას.

## უცხოეთი

**ალბანია.** ბერძენთაგან თავის დაცვის საბუთით ესად პაშამ შეკრიბა სამხედრო ძალები. ახლა ის შეუცილებელი პატრონია ჩრდილოეთისა და ცენტრალური ალბანიის მდგომარეობისა. მისი მოწვევით 10 იანვარს ტირანში შეიკრიბენ მეთაურნი ცენტრალური და ჩრდილოეთის ალბანიისა. სხდომამ გადასწყვიტა, რომ ალბანია მიიღებს მხოლოდ მუსულმანთა პრინცს ან ალბანეთის მთავარს.

სერბიის გაზეთების ცნობებით, ესად-პაშა მუშაობს ავსტრიისთვის, და ავსტრიის ფულით. მისი მიზანია გამოიწვიოს არეულობა და მისცეს საბაბი ავსტრიას გაგზავნოს ჯარი ალბანეთში.

**ბულგარეთი.** გარეშე საქმეთა სამინისტროში ოფიციალური ცნობებია მიღებული, ვითომც ბულგარეთში ფაქტიურათ უკვე დაიწყო რევოლუციონური მოძრაობა.

ბურგასში ქუჩებზე მოხდა რამდენიმე შეიარაღებული შეტაკება სოციალისტებსა და ჯარის შორის. ორივე მხრით დაჭრილთა რიცხვი 50-ზე მეტია.

იამბოლში და სისტოვოში მწვავდება გლეხთა მოძრაობა, რომელთა მეთაურათაც ღვდლები ხდებიან. თავის ქადაგებებში მეფე ფერდინანდს ბრალს სდებენ, რომ მას უნდა ბულგარები კათოლიკეებათ მონათლოს.

ხმებია, ბულგარეთში სამხედრო წესები უნდა გამოცხადდესო.

**იტალია.** მილანში დამატებით არჩევნებზე ხმის უმეტესობით, 11 ათასი ხმით 5 ათასის წინააღმდეგ, არჩეულ იქნა დეპუტატი კომუნარი, ფრანგული „Humanite“-ის რედაკტორი ამინკარ ჩიპრიანი. რომსა და მილანში ამ არჩევნების გამო შესდგა დემონსტრაცია, რომლის მონაწილენიც ბევრი დაატუსაღეს.

## დაბა-სოფელი

### ნინოობა ლანჩხუთში.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენს ქალებს საგრძნობი გამოფხიზლება ეტყობათ. ისინი თანდათან ითვისებენ წმ. განმანათლებლის ანდერძს—თავის მოვალეობას ცოტათ თუ ბევრათ ჩასჭიდეს ხელი და მიისწრაფვიან წინ. ამით აიხსნება სწორეთ ის მოვლენა, რომ დღეს, საქართველოს ბევრ დაბა-ქალაქში სხვა საკულტურო საქმეებთან ერთად მეტის აღფრთოვანებით იხდიან ამ დიდებულ დღესასწაულს—ნინოობას და სათავეში ყოველგან ჩვენი ქალები არიან. შეიძლება, ჯერ კიდევ ვერ იყოს მთლიანათ დაცული დიდი დღესასწაულის აღნიშვნა, მაგრამ საყურადღებო წინმსვლელობა რომ ეტყობა ამ მხრით, ცხადია.

ნინოობა იდღესასწაულეს დ. ლანჩხუთშიც. მოაწყო იგი საქალო შკოლამ. ბედნიერება მქონდა ამ საღამოს დავსწრებოდი და დიდათ ნასიამოვნები დავრჩი. ეს ნამდვილი ეროვნული დღესასწაული იყო, თუ, რა თქმა უნდა, ზოგიერთ ტეხნიკურ ნაკლულევანებას არ მივიღებთ მხედველობაში. საღამო გაიხსნა ცოცხალი სურათით, რომელიც წარმოადგენდა წმ. ნინოს ვაზის ჯვრით ხელში. შემდეგ მოწაფე ქალთა ხორომ ქ. ნინოს (ჯუღელის) ლოტბარობით კარგათ შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა. საუცხოოთ წაიკითხეს პატარა ქალებმა ქართული ლექსები და სცენები: საუცხოო იყო პატარა ქალების თამაში ორსურათიანს საბავშო პიესაში—„ტყუილს ტყუილი მოსდევს“. კარგი იყო ცოცხალი სურათები: „ობლები“ და „გაზაფხული“. ერთი სიტყვით, საღამო ნამდვილი სიცოცხლით იყო სავსე. საღამო დასრულდა ლეკურით, რაც მშვენიერათ იქნა შესრულებული იმავ პატარა ქალების მიერ. საღამოს დიდი საზოგადოება დაესწრო. დიდი მადლობის ღირსი არიან შრომის კეთილი ნაყოფისათვის მასწავლებელ ქალთა მთელი კორპორაცია.

**ანტარი.**

——

**დ. ზესტაფონი.** მკითხველებს კარგათ ემახსოვრებათ, რომ არა ერთჯერ ყოფილა სხვადასხვა გაზეთში მოთავსებული ცნობები ზესტაფონის თეატრის შესახებ, რომელიც 1906 წელს სხვა მრავალ ქონებასთან ერთად ცეცხლის სხვერპლი გახდა. ეს კულტურული ტაძარი, რამდენიმე წლის შეერთებულის ძალით ნაშრომნაღვაწი და ტანჯვა-წვალებით აგებული, ერთ დღეს ნაცრათ იქცა. განვლო მას აქეთ საკმაო ხანმა და ზესტაფონის თეატრის მკვდრეთით აღდგენა სხვადასხვა მიზეზის გამო მეტათ ძნელი შეიქნა. მაგრამ დღეს ზესტაფონის განყოფილებამ ქ. შ. წ. გ. საზოგადოებისამ დაისახა მიზნათ—შეიძინოს განყოფილების საკუთრებათ ეს თეატრის მიწა თავისი დანგრეულის კედლებით და განაახლოს იგი უკვე დამზადებული პლანის თანახმათ, რომლის ხარჯთაღრიცხვაც მცოდნე ტეხნიკის გამოანგარიშებით შეადგენს 15,000 მანეთს. როდესაც, როგორც მცხოვრებთა, აგრეთვე ინტელიგენტთა რიცხვიც მეტათ მცირე იყო ზესტაფონში, ყოველთვის იშვიათ მაგალითს იჩენდენ თავისი შეწირულობით საზოგადო საქმისთვის. დღეს სულ სხვას ვხედავთ. ბევრი არვინ იტკივებს თავს, და თავს ზნეობრივ მოვალეთ აღარ სთვლის დახმარება გაუწიოს ასეთს სიმპატიურ საქმეს.

ბევრია უზრუნველ ყოფილი ზესტაფონში, თუ მოისურვებენ, იოლათ მოაწყობენ უკვე მკვიდრ ნიადაგზე დაწყებულ საქმეს. მხოლოდ საჭიროა ენერგიული მუშაობა და მეტი თანაგრძნობა.

ჩემის მხრით ვსწირავ ამ დიდი საქმის განსახორციელებლათ 15 მანეთს.

**მ. სიხარულიძე.**

——

**სოფ. დიმი.** 16 იანვარს მოხდა დიმის წვრილი კრედიტის ამხანაგობის წლიური კრება. კრებას დაესწრო წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ. ჯაფარიძე. არჩეულ იქნა კრების თავჯდომარეთ გენერალ-მაიორი მ. ს. ჩხეიძე. წლიური ანგარიშის მოხსენებასა და დამტკიცებას შემდეგ, დიდი მადლობა გამოეცხადა გამგეობას საქმის კარგათ წაყვანისათვის. სამივე წევრი გამგეობისა, გასული წლის მოგებიდან, დაასაჩუქრეს სამასი მანეთით და სთხოვეს მათ კვლავ ენერგიულათ განაგრძონ შრომა ამ სიმპატიური დაწესებულებისთვის. ამავე თანხიდან კრებამ შესწირა ადგილობრივ სამკითხველოს 39 მანეთი. და გადასდვა ძირითადი და სათადარიგო თანხისთვის 500 მანეთი. კრებამ მოიწონა გამგეობის მიერ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა და დაამტკიცა იგი. სხვადასხვა წვრილი კითხვის გადაწყვეტას შემდეგ მოხდა კენჭისყრით არჩევანი გამგეობის წევრის, მისი კანდიდატის და საბჭოს წევრის; აირჩიეს ერთხმათ ი. ბ. ხარაბაძე, გეგეშიძე და ფ. ჩხეიძე. დროს უქონლობის გამო რამდენიმე კითხვა გადაიდვა მოსახსენებლათ არაჩვეულებრივი კრებისათვის.

**დიმელი.**

——

**სოფ. ჯოყოეთი** (ზემო იმერეთი). თუთხმეტი წელიწადია თითქმის, რაც ამ სოფელში არსებობს წერა-კითხვის შკოლა, რომელიც საშვალებას აძლევდა ხალხს შვილებისთვის ქართული წერა-კითხვა ესწავლებია. ამ შკოლის არსებობამ ხელი შეუშალა ამ სოფელში სამინისტრო შკოლის გახსნას, რომლის შესანახათაც მთავრობისაგან იყო გადადებული ყოველწლიური 700 მანეთი და ქონდა მიცემული მესამედი შენობის ხარჯისა.

ამ სამინისტრო შკოლის გახსნას ხალხი გულგრილათ შეხვდა, რადგან ზემოხსენებული წერაკითხვის შკოლა ქონდათ, რომლითაც ბევრათ თუ ცოტათ იკმაყოფილებდენ თავს. ახლა იმის მაგიერ რომ იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს შორაპნის მაზრის განყოფილებას ყოველი ღონისძიება ეხმარა და ეს შკოლა გაეფართოებია და მით ხელი შეეწყო ხალხის განვითარებისთვის, როგორც იმავე შკოლის მასწავლებელმა გვიამბო, 13 ამა თვიდან დაუკეტია ეს შკოლა და ამ სამოსწავლო წლის შუა რიცხვებში ოცამდი მოზარდი თაობა დაუტოვებია შკოლის გარეშე. ამნაირათ, ამ შკოლამ თითონაც შესწყვიტა არსებობა და ხელიც შეუშალა სამინისტრო შკოლის გახსნას.

ამ შკოლის შესანახი 700 მ. შკოლების ინსპექტორმა სხვა სოფელში გადაიტანა, ვინაიდან ჯოყოეთლებმა არ მოისურვეს ამ წერა-კითხვის შკოლის იმედით მისი გახსნა. ჩვენი ფიქრით, ასეთივე ბედი ეწევა სოფ. ვაჭევის წერა-კითხვის შკოლასაც, ვინაიდან მისი მდგომარეობა ყველაფრით ბევრათ უფრო ცუდია ჯოყოეთისაზე.

**ჩიგორტელი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზ. „ერი-ს“ საშვალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ონის წვრილ კრედიტის ამხანაგობას, რომელმაც ონის უფასო სამკითხველოს 1913 წლის მოგებიდან შემოსწირა სამი თუმანი.

**დედ. ლონგინოზ გეგეშიძე.**

——

ნებ გვიბოძეთ თქვენის გაზ. საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ სოფ. სკინდორში მცხოვრებს ნიკოლოზ იოსების ძეს ფხალაძეს, რომელმაც ადგილობრივს სამრევლო შკოლას ერთი წლით „სასოფლო გაზეთი“ გამოუწერა.

სკინდორის შკოლის მასწ. **ნ. ტუღუშაძე**

——

უმორჩილესათ გთხოვთ ამ ჩემს შეკითხვას ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემული გაზ. „ერი“-ს მახლობელ ნუმერში.

1912 წ. 13 თებერვალს ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“ დავიკვეთე ნ. ჟორდანიას და გ. ტაბიძის წიგნები, ფულიც 2 მ. და 2 შაური გადავიხადე სრულიად. ორი წელიწადი სრულდება ამ გამოცემების შესახებ არა ვიცი. უმორჩილესათ ვსთხოვ ჟურნალ-გაზ. „იმერეთი“-ს კანტორის გამგეს—გვაცნობოს, თუ თვითონ უწყის რამე ამ გამოცემების შესახებ, ან შევეძლია თუ არა ვიქონიოთ იმედი ამ წიგნების მიღებისა?

**მასწავლებელთაგანი.**

——

**ბატონო რედაქტორო!** უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ერ“-ში ამ ჩემს წერილს, ბ. ისიდორე კვიცარიძის საპასუხოთ. („ერი“ № 7).

ბ. ისიდორე! მე ყოველთვის დიდის სიამოვნებით ვეგებები, როგორც თქვენსას, აგრეთვე ყოველი შეგნებული პირისაგან დარიგებას და შეცთომაზე მითითებას.

რაც შეეხება ბ. ივლიანე გამყრელიძის გამართლებას, უნდა გაცნობოთ, რომ როგორც თქვენ, ისე ჩვენც პატივისცემით და ნდობით ვეპყრობოდით მას და ხელსაც ვუწყობდით შეძლებისადაგვარათ ყოველს საერთო კულტურულ საქმიანობაში. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ისეთი შეუფერებელი საქმეები ჩაიდინა როგორც ქართველთა შორის, ისე სხვა ერთა შორის, რომ არ შემიძლია ეჭვით არ შევხედოთ, როგორც მე, აგრეთვე სხვებმაც ბ. გამყრელიძის მოქმედებას.

რაც შეეხება იმას, რომ პოემა „რაჭალეჩხუმი“ გამოდის „თემი“-ს პრემიათ და მე კი „იმერეთ“-ს ვსთხოვე პასუხი, ეს იმიტომ, რომ მე მივაქციე ყურადღება კვიტანციებს ჟურნალ-გაზეთების საგენტო „იმერეთი“-სას, რომელიც გვაქვს დარიგებული ბ. გამყრელიძისაგან ზემოხსენებულ გამოცემაზე.

გამყრელიძის მისამართი როგორც მე, აგრეთვე სხვა იმის ნაცნობებმაც არ იციან, რადგან მას არავისთვის თვისი წასვლა ნახიჩევანიდან არ გაუმხელია.

**სამსონ მარჯანიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო-სალიტერატურო კრებული

**„ცხოვრება და მეცნიერება,“**

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

**შ ი ნ ა ა რ ს ი.**

**პრ.—დოც:** ს. ავალიანი. დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. **ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა** ექიმი ს. ყიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. **პროზექტორი ანატომიურ თეატრისა** ექიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). **ორდინატორი ვენერიულ კათედრაზე** ექიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. **სტუდენტი** შ. ქავთარაძე: ანაბიოზი. **სტ.** ქ. რაჭველიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. **სტ.** ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. **სტ.** გ. კარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) **სტ.** დ. ჟღენტი. ბავშის აღზდა. **სტ.** გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

**გ. გორდამისა და ს. წერეთლის**

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის ღოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და დუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ქურქელი, ასფალტი და სხ.

**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

## რკინის გზა.

**ქუთაისიდან მიდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო დილის | 10 საათ. | 6 წ. |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. |
| **ათომს:** | სახალხო დილის | 5 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 21 წ. |
| **ფოთს:** | სააგარაკო დღის | 4 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 10 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. | 21 წ. |
| **შორაპანს:** | სააგარაკო დღით | 4 საათ. | 57 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დილის | 7 საათ. | 50 წ. |

**ქუთაისს მოდის.**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისიდან:** | სახალ. დილ. | 7 საათ. | — |
| | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 55 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 28 წ. |
| **ბათომიდან:** | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 27 წ. |
| **ფოთიდან:** | სააგარ. დილ. | 10 საათ. | 3 წ. |
| | სახალხო დღით | 1 საათ. | 20 წ. |
| | სახალ. ღამით | 1 საათ. | 26 წ. |
| **შორაპნიდან:** | სააგარ. დილის | 9 საათ. | 31 წ. |
| **ტყიბულიდან:** | საღამოს — | 5 საათ. | 11 წ. |

**ბილეთის ფასი:**

| | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| თფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 |
| ჭიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 |

| | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.